



საკლბითიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

**შინაარსი:** ბურები. — სსვა-და-სსვა აბმაფი. — „კვალი“-ს კორესპონდენციები. — ეჟრნალ-გაზეთებიდან. — ინგლის-ტრანსვაალის ომი. — ქართული თეატრის საქმე. — ობოლი ყვაგილი, ლექსი გულისაბასი. — აკადემიკოსი ი. რ. თარგნიშვილი ის. კვიცარიძისა. — მცირე შენიშვნა ვ. კირვალიძის და ნაშრეფან მერკვილაძის. — საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნეში. (შემდეგი) ფ. მახარაძისა. — წერილები რედაქციის მიმართ. — „კვალის“ ფოსტა. — შეცდომის გასწორება და განცხადებები.

ბ უ რ ბ ი.

II

როგორც პირველ წერილში ვთქვით, ინგლისმა ტრანსვაალი და ორანჟე იცნო დამოუკიდებელ ქვეყნებათ (1852 წ. და 1854 წ.) იმ პირობით, რომ ბურებს მონობა არ შემოეღოთ და ვაჭარ და მოგზაურთათვის თავისუფლება მიეცათ. ეს პირობა ორანჟეს რესპუბლიკამ საესებით დაიცვა დღემდის, ხოლო ტრანსვაალმა კი თავიდანვე დაარღვია. ის მომწყვედველი იყო ველურ ხალხთა შორის და მუდამ მათ ებრძოდა. ამ ბრძოლაში დიდ-ძალ ტყვეებს ირჩენდენ და აი მოინდომეს ამათი მოხმარება. და რადგანაც მონობა აკრძალული იყო, მან შემოიღო ეგრეთ წოდებული „Apprentices“ — „მოჯამაგირობა“, რაიცა მდგომარეობდა შემდეგში: ტყვე ვალდებული იყო უსასყიდლოთ ემუშავა ბატონისთვის და მას არ შეეძლო გამოეცვალა ბატონი, ბატონის ნებადაურთველათ. ეს „მოჯამაგირობა“ 1856 წ. დაკანონდა (Apprentices Act). აი რას წერს ქამი, ქრისტიანი მთავარი ტრანსვაალის მოსაზღვრე ქვეყნისა, ბესუნლანდის, ინგლისის მთა-

ვრობას 1876 წ.: „ბურები მოდიან ჩვენში, მე არ მიყვარს ისინი. მათი მოქმედება ჩვენს, შავ-კანიანთა შორის, შემადრწუნებელია. ჩვენ მხოლოთ ფული ვართ, ისინი გვეყიდიან ჩვენ და ჩვენ შვილებს. ბურების ჩვეულებბაა ხალხი ჰყიდათ და ჰყიდიან დღესაც. გასულ წელს მე თვითონ ვნახე ისინი ორი ფურგონით სავსე ხალხით, რომელნიც იმათ იყიდეს მდინარე ტენენის ნაპირას“, იმათ წინააღმდეგ გთხოვთ მფარველობასო. ამასვე ამტკიცებენ სსვა-და-სსვა მისიონერები და მოგზაურნი, როგორც მაგ. ცნობილი ლივინგსტონი და სს. 1859 წ. თვითონ პრეზიდენტმა პრეტორიუსმა (შვილი ანდრია პრეტორიუსისა) გამოსცა პროკლამაცია მაზრის და სოფლის მოხელეთა მიმართ, რომლითაც ახსენებს მდინარე სანდის ხელშეკრულობას და უბრძანებს შესრულებულ იქმნას პირობა მონობის შესახებო. რაც შეეხება ვაჭართა და მოგზაურთ თავისუფლებას — ესეც დაარღვიეს ბურებმა. შესანიშავი მოგზაური ლივინგსტონის ისტორია საყოველთაოთ ცნობილია. მის ამალას ორჯელ დაესხნენ ბურები და დახოცეს. თვითონ ლივინგსტონი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. კანონით აეკრძალა ინგლისელ და გერმანელ ვაჭრებს მიწა-ადგილების შეძენა და სს.



ნუ თუ ევროპიელი ხალხი ამას ჩაიდენდა— იტყვის მკითხველი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბურებმა ამ უცხო და ველურ ხალხთა შორის, რამდენიმეთ დაჰკარგეს თავისი ევროპიელობა და ძალაუნებურათ შეითვისეს ადგილობრივი ჩვეულება და სისასტიკე. უამისოთ მათ არ შეეძლოთ თავის დაჭერა და ცხოვრება. ასე რომ ბურებმა პირველათ უკან-უკან დაიწიეს კულტურით და მოქალაქეობით. გარეშე ხალხებთან ბრძოლას ზედ დაერთო ბრძოლა შიგნით, ერთმანეთ შორის. შედგა ოთხი პარტია პრეზიდენტის ასარჩევათ და რადგანაც ვერც ერთი პარტია მეორეს ვერ მოეწყო, თითოეულმა თავ-თავისი პრეზიდენტი აირჩია და რესპუბლიკაც დაჰყვეს ოთხ-საპრეზიდენტოთ ანუ ოთხ რესპუბლიკათ: პოტჩესტრომი, ზოუტპონბერგი, ლეიდენბერგი და ატრეხტი. თითოეული ამათგანი შეიქნა დამოუკიდებელი, მხოლოდ რამდენსამე ხანს შემდეგ დიდი ჰაპან-წყვეტით შემოიღეს ერთი საერთო საკანონმდებლო პარლამენტი, წოდებული ფოლკსრათ. მაგრამ არევ-დარეულობას ამან ვერ უშველა. გაილაშქრეს აგრეთვე ორანჟელთა წინააღმდეგ. ეს „ძმათა ომი“ მოხდა მაშინ დღევანდელი ტრანსვაალის პრეზიდენტის ზაჟ კრიუგერის სარდლობით!.. ასე 1852—1860 წ.წ. ტრანსვაალში სრული ანარქია სუფევდა. 1860 წ. ბურები შეთანხმდნენ ერთ პრეზიდენტზე, მარა მაშინვე შფოთი ატყდა პარტიათა შორის და მხოლოდ 1864 წ. ოთხივე რესპუბლიკა შეერთდა მათე პროტერიუსის პრეზიდენტობით. პოლ კრიუგერი დაინიშნა მთავარ სარდლათ. ბაირალი თითოეულ რესპუბლიკისა შეაერთეს და ასე წარმოდგა დღევანდელი ოთხ-ფეროვანი დროშა ტრანსვაალისა.

ამ შეერთებას შემდეგაც, ბურები არ იყვენ მოსვენებული შავ-კანიანებისგან. ჩრდილოეთის მთების მკვიდრნი აჯანყდნენ და ბურები იძულებული გახდნენ 1868 წ. პროვინცია ზაუტპანაბერგი დაეცალათ და აჯანყებულებთან ზავი შეეკრათ. ახლა აღმოსავლეთით აჯანყდნენ. მთავრობას აღარ ჰქონდა საშუალება მათთან ბრძოლისა და 1871 წ. ინგლისი მოიწვია მედიატორეთ. ინგლისმა ამ დავის გადაჭრა მიანდო ნატალის გუბერნატორს, კიტს. ამან აჯანყებულ თემს მიანიჭა დამოუკიდებლობა, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია ბურებს შორის და პრეზიდენტი პროტერიუსი იძულებული გახდა გადამდგარიყო. მის ალაგას აირჩიეს ბურგერსი. ცოტა ხანს შემდეგ აჯანყდნენ სხვა თემებიც. განსაკუთრებით ხელი გამოიღეს სიკუკუნებმა; მათ წინააღმდეგ გაილაშქრა თვითონ პრეზიდენტმა, მარა ვერას გახდა. მაშინ განიზრახეს ნაქირავები

ჯარის შემოღება და ბურებს ომის მძიმე ხარკი გააწერეს, მარა ღარიბმა, უფულო ბურებმა ამის გადახდა ვერ შეძლეს. მთავრობა გაჭირვებაში ჩავარდა, მის ერთი სტერლინგიანი ქალაქის ფულს ერთ მილინგათაც აღარავინ ღებულობდა. ამნაირათ, უფულობა, უჯარობა, ომიანობა—აი რა მდგომარეობაში მოიწყვდა ტრანსვაალი. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ აქ ახალი კულტურული დაწყობილობა არ იყო. ამ მუდმივ შფოთში ბურებს სად სცალოდათ ამავისათვის, ისინი ერთიანათ მოცილდნენ განათლებულ ქვეყნებს და ჩარჩენ ველურ პირობებში. აქ არ იყო ხიდები, ხეირიანი გზები, სკოლები, ტელეგრაფი, რკინის გზა და სხვ. ხაზინა მუდამ ცარიელობდა.

და ასე, ტრანსვაალი დასუსტებული შიგნიდან, დასუსტებული გარედმიდან—ის იყო სამუდამოთ უნდა წაქცეულიყო და მტრების კლანჭებში ჩავარდნილიყო. ამ დროს აქ შედგა პარტია, რომელიც ქადაგებდა ინგლისის მოწოდებას და მისი შემწეობით, ქვეყნის გამაგრებას. ამ პარტიას დაერქვა ინგლისის პარტია, რომელმაც გამოიწვია ოპოზიცია პოლ კრიუგერის მეთაურობით. ესენი ამბობდნენ რა ინგლისს წაუღივართ და რა კატრებს, ჩვენ ჩვენით დავდგეთ ფეხზეო. მთავრობა კი ამათ შუაში იდგა და უფრო მოსაშუალის როლს თამაშობდა. ბურგერის აზრით ინგლისის შემოყვანა საჭიროა, უამისოთ დავილუპებითო. ბურებმა გააკეთეს პეტიცია, რომელზედაც ხელი მოაწერა შათას მამა-კაცმა (ამ დროს სულ 8 ათასი მამა-კაცი იყო ბურებში) და მთავრობას წარუდგინეს ინგლისთან შეერთების სასარგებლოთ. 1877 წ. 30 აპრილს გამოცხადდა ტრანსვაალის ინგლისთან შეერთება, რაიცა უჯაროთ და უომოთ პრეტორიაში იმავე დღეს იქმნა სისრულეში მოყვანილი. ბურების მოხელეები, პოლ კრიუგერით, ინგლისელებმა სამსახურში დატოვეს. მხოლოდ, დღევანდელ ბურების სახელოვანმა სარდალმა, ჟუბერმა, მაშინ უარი განაცხადა ინგლისელთა ხელქვეით სამსახურზე. პრეზიდენტი ბურგერი გადასახლდა კაპში. აი რა თქვა ბურგერმა პარლამენტში, რამდენიმე კვირის წინ შეერთებამდის: „ეს ქვეყანა თვითონ ჩვენ, ბურებმა დავკარგეთ. თქვენ, მიმართა დეპუტატებს, ცუდათ ექცეოდით მკვიდრთ, თქვენ ისინი დახოცეთ, თქვენ ისინი გაყიდეთ მონათ და ახლა თქვენვე ისჯებითო“.

აქედან იწყება მესამე ხანა ბურების ცხოვრებაში.





სხვა-და-სხვა ამბები

მარტის 14 თფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ განიხილა საქმე ქალაქის თავის და გამგეობის წევრების პასუხის გებაში მიცემის შესახებ. როგორც ვუწყით, იმათ სასჯელთა დებულების მე-406 მუხლის ძალით, სამსახურის დროს დანაშაულის ჩადენა ჰბრალდებოდათ. საკრებულომ საკმაო საბუთები არ ჰპოვა იმისთვის, რომ თავი და გამგეობის წევრები პასუხის გებაში იქნენ მიცემულნი და ამიტომ ეს საქმე მოსპო.

ალავერდის ზავოდში საფრანგეთის კომპანია იუკანასკნელ დროს მადნების მუშაობა შეწყვიტა, რითაც არე-დარევა გამოიწვია მოსულ მუშებში. მუშაობის შეწყვეტამ ადგილობრივ მუშებზედაც იქონია გავლენა, თუმცა ფრანგები მოსულ მუშებს აძლევენ უპირატესობას და ადგილობრივ მუშებს აგრე რიგათ არ იწვევდენ სამუშაოთ. მოსულებს აძლევენ დღეში 1—2 მ. 50 კაპეკამდე, ადგილობრივებს კი მხოლოდ 40 კ.—1 მ. 20 კ—მდე. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ოლქის ინჟინერმა. უმეტესი ნაწილი მუშებისა ჭიათურაში წავიდა სამუშაოთ. („თფილ. ფურც.“)

„კასპის“ რედაქციაში (ბაქოში) 9 იანვრიდან 1 მარტამდე შესულა უმუშაოთ დარჩენილ ხელოვანთა სასარგებლოთ შემოწირულება 894 მ. 95 კ. ამ ფულიდან ოჯახიან მუშებს ეძლეოდათ 5 და 10 მ. უცოლშვილო მუშებს 50 კ.—1 მ.. მეტი ფული 10—20 მ. ეძლეოდათ ოჯახიან მუშებს იარაღების საყიდლოთ, დაგირავებული ნივთების გამოსაყიდათ, ტანისამოსისათვის, წამლობისათვის და სახლის ქირისათვის.

ამ ორი წლის წინათ ბაქოში დაარსდა მავთულების საწარმოებელი ამხანაგობა. წელს დაარსდა უკვე მეორე ასეთი ამხანაგობა ძირითადი თანხით 600,000 მ., რომელიც უკვე შეუდგა ზავოდის შენებას და საზღვარ-გარეთ საჭირო მანქანების შეკვეთას.

შაბათს, 25 მარტს ბ. ზ. ფალიაშვილი ქართულ თეატრში გამართავს უკანასკნელათ ქართულ კონცერტს. იმღერებენ: კურდღელი ჩამოცანცალდა, ფაცხა, დღეს მერცხალი, ჩარიჩამა, ნეტავი გოგო, სულიკო და სხ. სიმღერაში მონაწილეობას მიიღებს

ქ. გაბუნია-ცაგარლისა და კნ. ი. ა. ბარათაშვილი. შემდეგ წარმოადგენენ ქართული თეატრის არტისტების მონაწილეობით ფარსს „მშვენიერი ელენეს მადიებელნი“ და ბოლოს წაიკითხვენ სცენებს და გაიმართება ლეკური.

კითხვა, რომელიც შეეხება ხელოსანთა წოდების გარდაქმნას შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან, გამოყოფილია ქალაქის წოდებათა რეორგანიზაციის შესახებ საერთო კითხვიდან. ხელოსანთა წოდება უფრო მალე იქნება გარდაქმნილი, ვიდრე ვაჭართა და წვრილ მოქალაქეთა.

მომავალ წელს სამხრეთ-რუსეთის სამადნოსამრეწველო საზოგადოებისაგან დანიშნულია ინჟინერთა პარტია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს კავკასიის მთა-მადნეულობა.

კავკასიის მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენთა და თავშესაფართა საზოგადოების საზოგადო კრება მოხდება კვირას, 26 მარტს, ნაშუადღევის პირველ საათზე, თფილისის სამოსამართლო პალატის სადგომში.

განსახილველია შემდეგი საგნები: 1, გამგეობის 1899 წლის მოქმედების და შემოსავალ გასავლის ანგარიში. 2, გამასწორებელ ახალშენის 1899 წლის მოქმედების ანგარიში. 3, 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. 4, სარევიზიო კომისიის მოხსენება 1899 წლის ანგარიშისა და 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. 5, მოხსენება ახალშენის დირექტორის კ. ჭყონიას თანამდებობიდან გადადგომის შესახებ და სხ.

„კეალის“ კორესპონდენციები

ლექსუმი. ლექსუმის მდებარეობა მეტი ნაწილი მთავარაინა, ჭავა და ნიადაგი საშუალო ხარისხის აქვს. აქაურებს რაჭველებსავით გარეთ გასულს ვერ ნახავთ ფულის საშაფნელოთ; ისინი თითქმის ყველა მიწის მუშაობას მისდევენ; მოჭვავთ სიმინდი, ღვინო და ზური, აქა იქ თამბაქოსა და ბამბის თესვაც დაწვეს. მიუხედავთ ყველა ამებისა, ლექსუმი ყოველი მხრით უფრო დაბლა დგას ყველა მის მეზობლათ მეოფე მხარეებზე და განსაკუთრებით კი სწავლა-განათლების მხრით; აქა იქ რამდენსამე ალაგას თუ შეხვდებით სამ განყოფილებიან სასწავლებელს და იმასაც არა სასურველ მდგომარეობაში. სამკითხველოთ კი თუნდაც დიოგენის ფარნით ეძიეთ მაინც ვერსად



იხვევით. აკრ მეტეცე საუკუნე დადგა და ჩვენი წარსული და ახალი საუკუნის მოძრაობა მეთუთხმეტე საუკუნისას მოკავსებს; მის მაგივრათ, რომ ახალი იარაღით შევიტყუროთ, და იმითი ვსეღმძღვანელობდეთ, ჩვენ ისევე ძველი იარაღისკენ მივისწრაფით, თითქმის მას იღვალათ ვსახვით. მის მაგივრათ რომ ფული სსწავლებელს და გონების განვითარებას მოვხმაროთ, ჩვენ თფფ-ხანჯლის შექენას და მათ თქრო ვერცხლით გატკეღვამი ვსარ-ჯავთ. ძვირათ ნახვით ლენხუმელს რომ მას მხარზე გა-დაკიდებული არ ჰქონდეს ლეკური. ლენხუმლებისთვის სირცხვილია დღეს თფფ-ლეკურ-ხანჯლობის მიმდე-ვრობა; ლეშით მეტეცე საუკუნის, სქმით და მოძ-რადობით კი მეთუთხმეტე საუკუნის წარმომადგენლობა. ის, რაც სხვებმა დიდხანია შეითვისეს ლენხუმლებისათ-ვის ჯერ ახალი ხილია. ვაჭრობა მრეწველობის მიმდე-ვრობა გამოხატება წელიწადში ერთსევე კოდრებით ვაშ-ლის ჩამოტანაში ქუთაისში და რომელიმე შემამულისავან რამდენიმე სახალზე ღვინის გაყიდვაში; ეს არის მათი ვაჭრობაც, მრეწველობაც და ვფველიფერი. აქ მცხო-რებთა მეტ ნაწილს თავად-აზნაურობა შეადგენს. ეს რამ-დენიმე ხანია რაც მათ ერთი უცნაური სენი დაერიათ. გაიძახან: „უსათუოთ გეროდლიამ უნდა გვიცნას, დაგ-ვიმტკიცეს, რომ ჩვენ აზნაურნი ან თავადნი ვართ“; ამ სენმა ისეც დაბეჩავებულ ლენხუმს ნიფთიერათაც სრულიად ბოლო მოუღო. ახლა ბევრს შეხვდებით აზნა-ურს, კინდ თავადს, რომ მათ აზნაურობა კი არა უგანათ-ლებულესობაც რომ უმოფოთ, ვეღარას უშველით, რადგან „ღირსების“ ძებნას გადაუფლას რაც ებდა. თუ სადმე შეხვდებით რამდენიმე აზნაურს თავ მოყრილს—უსათუოთ იცოდეთ რომ ისინი ამის შესასებ სჯიან; ერთ ამ გვარ ურილობაზე ერთი ლენხუმის ინტელიგენტი, რომელსაც დიდ ბუმბუკაზათ მოაქვს თავი, ეველსაზე ბევრს გაიძა-ხიდა მარშლის წინ, რომ არ მინდა ეს და ეს\*) აზ-ნაურებთ, რადგანაც ისინი ზანხემის მეღორე-მეძადლეკები იყვნენ. ლენხუმში არსებობს ორი დაზა: ცაგერი და ლაილაში, თითო თითო სსწავლებლით. სამკითხველსი კი რა მოკახსენოთ. ლაილაშიში მეტობს ურები, ცაგერში კი ლენხუმლები. დროა, დრო, ლენხუმლებო, სადათას ძილს თავი დავადწოთ და აწი მაინც გამოფუდკეთ მათ, ვინც საუკეთესო ნაბიჯი წადგა წინ ახალ ცხოვრებაში და თუ ისინი დაუღალავათ მისდევენ ახალი ცხოვრების კვლს, ეველსთვის თუ სავადლებულ და აუნილებულ საჭირო-ბათ შექენა ვაჭრობა და მრეწველობა, სსწავლებელ-სამ-კითხველლების დაარსება, გონების განვითარება და შვი-ლების აღზრდა, ჩვენც მოვკიდოთ სქმეს ხელი და აწი მაინც ნუღარ შევადგენთ გამონაკლისს სხვებში. აგრეთვე

არ შემიძლია არ შევნიშნო ზოგიერთ ფერმით მღვდ-ლებს, სქმით-კი ვაჭრებს, რომ თავისი მოვალეობა დირსეულათ დასრულონ და ისეც შევიწროებულ ლენ-ხუმს მთლათ ბოლო არ მოუღონ. მღვდელი და ვაჭარი?! ძნელი წარმოსადგენია! იმედია ეურადლებას მიაქცევს, ვისაც ჯერ არს.

P. S. კარგს იხებებს აგრეთვე, რომელიმე ზატო-ცემული ზრფიზორი რომ კვდე დადმართში(ქვემო ლენხუ-მი.) აფთაქის განუოფილებას გახსნიდეს, თორემ უწამ-ლოთ ბევრი ესაღმება წუთი-სოფელს. ცაგერი და ქუთა-ისი ორივე დიდ მანსილზეა დაშორებული.  
„სოსიბ-დნორისელ“

ჟურნალ-გამეტებიდან

**ზ**აზ. „Съверный Курьер“-ის მე-119 ნომერ-ში დაიბეჭდა პ. გ.—ლის წერილი ამ სათაურით: „სომეხ-ქართველთა განხეთქილება“. ავტორი წე-რილისა არკვევს ორ კითხვას: პირველი—არსებობს თუ არა ქართველთა და სომეხთ შორის ეროვნული ბრძოლა? და მეორე—რა მიზეზია, რომ სომხის ჩარჩმა ქართლ-კახეთში მოიკიდა მხოლოთ ფეხი და იმერეთში კი ვერა?

„კერა სომეხ-ქართველთა დავისა,—ამბობს ავტორი—თფილისია. რაც შეიძლება უფრო მო-ხერხებულთი და სარფიანი ადგილის დაქერა და ქა-ლაქის თვით-მართველობის დიქტატურის ხელში ჩაგდება—აი ის მიზეზები, რამაც სომეხ-ქართველთა ბურჟუაზიის წარმომადგენელი ინტელიგენცია ერთ-მანეთს შეატაკა. სომეხთა ბურჟუაზიამ მოიგო ომი და 1891 წელს ქალაქის სამმართველოზე თავისი ძლიერა-მოსილი ბაირალი ააფრიალა. ქართველთა ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა წააგეს რა ომი, დატოვეს ბრძოლის ველი, მაგრამ შეურაცხყოფილმა თავ-მოყვარეობამ მაინც თავისი ჰქნა. დამარცხე-ბულმა პარტიამ ბრძოლა გაზეთის ფურცლებზე გადაიტანა და ყველა ის, ვინც კი რაიმე თანა-გრძობას უცხადებდა სომეხ-ქართველთა შეერთება-შეკავშირებას, მამულის მტრათ აღიარა. პირველი მსხვერპლი ამ დევნისა შეიქნა აწ განსვენებული გ. წერეთელი, რომელმაც ვაპბედა საბჭოს ხმოსნათ თავისი კანდიდატურის წამოყენება. ჟურნალ-გაზე-თობამ განსვენებულს ანაფემა მიუძღვნა; ხელსაც კი არვინ ართმევდა და ქართველ საზოგადოებიდან გაგდებაც კი მოუნდომეს... გაიარა წლებმა, ვნებათა დღევა მიწყნარდა; „მეომარნი“ შეურიგდენ თავის ბედს. პარტიის ერთმა წინამძღოლთაგანმა ხელთ იგდო პორტფელი ფოთის ქალაქის თავისა და შავი ზღვის პირათ ნახა წყნარი ნავთ-საყუდელი.“

\*) ზოგიერთებმა გლეხის წოდებიდან იღროვეს ვისაც-კი ჰქონდათ ფული, და დაიმტკიცეს აზნაურობა, რაზედაც ჯავრობს სრულიად ლენხუმის თავად-აზნაურობა. მე სის-ტლით მიშოვნია და ის ფულით შოულობსო.





თ. ი. ქავჭავაძემ მთელი თავისი არტილერია თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ოპოზიციას მიუ-სია და დაამარცხა რა მაჩაბელი, გამაგრდა ღირე-ქტარობის ადგილზე და ის იყო სრულიად მივი-წყებას აპირებდა სომხებისას“.

მაგრამ ამ დროს თფილისში ჩამოდის ბ. ვე-ლიჩკო, და გაისმის მისი მეომარი ხმა: „საქართვე-ლო სომხების როდია!“ და დაინტერესებულნი პარტია (ბურჟუაზია) ხელმეორეთ ისხამს იარაღს; „ივერიაც“ იწყებს სომხების წინააღმდეგ ლაღადს. მაგრამ სომხის ბურჟუაზიასაც არა ძინავს; ის ცდი-ლობს ბრძოლას ნაციონალური ხასიათი მისცეს და ამ მიზანს ცოტათი აღწევს კიდევ; თფილისს პროვინცია გამოეხმაურა — აქაურმა ინტელიგენცია-მაც მხარი მისცა თფილისელ ბურჟუაზიას. მეორე მხრით ფეხზე წამოდგა ნიდაგ გამოცლილი მემამუ-ლე არისტოკრატია და სომხის ჩარჩებისაგან შევი-წროებული ისიც ხმაღს ირტყამს ველიჩკოს საომარ დახილზე.

„სომეხ ჩარჩის გაჩენამ შეაერთა ორი მტერი: ქართველი თავად-აზნაურობა და ქართველი ბურჟუა-ზიის წარმომადგენელი, იმ ბურჟუაზიის, რომელიც როდესღაც გატაცებული რუსული ტერმინოლოგიით თავის თავს „ქართველთა ნაროდნიკს“ უწოდებდა. ამ ნაირათ დავა წარმოებს უმთავრესათ მარტო სო-მეხ და ქართველ ბურჟუაზთა შორის, ხალხი კი, მიწათ-მომკმედი და მუშა კლასები, როგორც ქარ-თველი, ისე სომეხი, წინანდებურათ აგრძობენ შრომას“.

შემდეგ ავტორი გადადის მეორე კითხვაზე და არკვევს, თუ რა მიზეზია ქარაღში სომეხთა საჩარ-ჩო კაპიტალის ზრდისა, და აი რასა წერს:

„თუ ვისმეს სურს ამ კითხვაზე განსაზღვრული პასუხი მიიღოს, მან ყველაზე უწინარეს უნდა იცო-დეს, რომ თფილისის გუბერნიაში ჯერ კიდევ ფაქტიურათ ბატონ-ყმობა სუფევს. საზოგადოთ ასეთი მდგომარეობა საქმისა ძალიან გულმოდგინეთ იფარება ჩვენში გაკოტრებულ თავად-აზნაურთა მომხრეთაგან, მაგრამ ცხოვრებაში ის ხშირათ ძალიან მწვავე ფორმით ამოყოფს ხოლმე თავს; როგორც მაგ. მკვლელობის თუ სხვა სახით. ერთი მხრით დროე-ბით ვალდებულება ქართლელ გლეხთა და ამ ბო-ლო დროს გამწვავებული, აგრეთ წოდებული „ხი-ზანთა კითხვა“, და მეორე მხრით გაჩქარებული ზრდა ფულის საჭიროებისა მეურნეობაში და ამას-თან შეერთებული გაღარიბება ქართველ მემამულე არისტოკრატისა, რამაც გააძლიერა ექსპლოატაცია გლეხის შრომისა — აი მიზეზები, რითაც აიხსნება ასე-თი უმწყო მდგომარეობა ქართლელ სოფლისა“.

შემდეგ ავტორს მოჰყავს ციფრები, საიდანაც ჩანს,

რომ მარტო თფილისის გუბერნიაში 95 ათასი სუფილისი ხიზანი ყოფილა; ამავე გუბერნიაში დროებით დამოკიდებულ გლეხთა რიცხვი 70% უდრის; გა-მოუყიდელ მიწის რაოდენობა — 80%. უმეტეს ნაწილს გლეხობისას კომლზე 2 და 1 დესეტინაზე ნაკლები მიწა უწევს, და ამავე დროს სხვა-და-სხვა გადასახადი აღის 24 — 84 მანეთამდე კომლზე.

„ამას შემდეგ გასაკვირველიც არ არის, რომ მკვიდრმა, უკანასკნელ ხარისხამდე შევიწროებულმა, ვერ შეიძლო გამკლავებოდა ჩარჩ-ბაცაცებს. იმე-რეთშიაც, საცა თითქმის ხსენებაც არ არის სომხისა, ქართველი ჩარჩები დათარეშობენ, მაგრამ იქ ბრძო-ლა წარმოებს თავისუფალ მხარეთა შორის, რის გამო მას საჩარჩო კაპიტალი ისე ვერ ბოჭავს, რო-გორც ქართლ-კახეთის გლეხ-კაცობას, რომელსაც ჯერ კიდევ მთლათ არ აქვს ხელ-ფეხი თავისუფალი ბატონის ბორკილებისაგან“.

დასასრულ ავტორი სამართლიანათ ურჩევს ქართველ ხალხის „დამცველთ“, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა ბრძოლა ბატონ-ყმობის წინა-აღმდეგ და გადაქრა ხიზანთა კითხვისა, რომელიც ახლა „ისტორიულ ანახრონიზმს“ წარმოადგენს.

„ახლა კი, — ამბობს ავტორი, — „დამცველნი“ ამას არ შერებიან, არამედ ვახვეულან ამა თუ იმ ერის ვითომდა გულ შემმატკივართა ქერქში და ნაციონალურ დროშას ქვეშ ამოუშალავთ თავისი ეგოისტური ჯგუფური ინტერესები“.

ინგლის-ბრანსვალის ომი.


მის ველი ისევ ამ მდგომარეობაშია, როგორც გასულ კვირას იყო. ამისათვის მზადება ორივე მხრიდან დიდია, წერილ-წერილი, შემთხვევითი შეტაკება ხშირია, მანა დიდ ომამდე ჯერ კიდევ შორს უნდა იყვნ. ინ-გლისელთა უმთავრესი უურადლება ამ ჟამთ დამოქმედ-ბული ქვეყნების შერიგების და ფეხის მომაგრებისკენ არის მიქცეული. ორანჟის მცხოვრებთ ურჩევს განაგრძეთ მუშაობა და საქმეთა ჩვეულებრივი მიმდინარეობა. უე-ტკეღია, როცა რობერტსი ორანჟში საფუძვლიანათ და-შკვიდრება, შემდეგ დაიწყებს მოძრაობას ტრანსვალში გადასასვლელათ. როგორც უკანასკნელი დებუმა იუწყება, ტრანსვალის სამხედრო მინისტრი და ჯარების მთავარ-სარდალი სსხელოვანი ჟუბერი გარდაცვლილა. ამ ომას-ნობაში ეს დიდი დასაკლისია ბურებისთვის. რაც შეეხება ზავის ჩამოგდებას ამის გაკონებაც არ სურს ინგლისს.

ეკრძიულ გაზეთებში გამოქვეყნებულია წერილი ლენკადი რიკოტი გარბაზდის, შვილის იტალიის გა-მთავისუფლებების ჟოზეფ გარბაზდის. იმას უსუვე-



დურეს, განსაკუთრებით ფრანგულ გაზეთში, თქვენ, რესპუბლიკანელი და ზატარა ერის თავისუფლებისათვის მებრძოდი, ინგლისს ემხრობით ბურჰების წინააღმდეგ, ნუ თუ ეს მართალია. ამაზე რიკოტი წერს: „სრული ჭეშმარიტება ის, რომ მე ჩემი ხმალი ინგლისს შევადლო ბურჰებთან საბრძოლველათ. მართალია, ბურჰების უჩინოდება მომწონს, მაგრამ იმათ საქმეს არავითარი კავშირი არ აქვს კარბაღდელთან. რომ მე და ჩემი მეგობრები რესპუბლიკანელები ვართ—ეს კიდევ არ ნიშნავს უთუთო ვეფელა ქვეყნის რესპუბლიკანელთ ვემხრობდეთ... ვეფელა შემთხვევაში მე დარწმუნებული ვარ, რომ გამარჯვებული ინგლისი ბურჰებს ისე არ წაართმევს თავისუფლებას, როგორც ამ ერთი თავის წინეთ ერთმა დიდმა სახელმწიფომ ზატარა ერს წაართვა... თუ მე ინგლისს ვემხრობი—ეს იმისთვის, რომ ჩვენ მისი მადლიერი ვართ. მე, როგორც იტალიელი, არადღეს არ დავიფიქვებ ინგლისის იმ თანაგრძნობას, ურთმლისათაც მამაჩემს არ შეეძლო სიცილიის და ნეპოლის დახურვა. იმავე ინგლისის დაუსმარებლათ შეუძლებელი იყო 1867 წ. მამაჩემის რამში შესვლა და მით იტალიის გაერთიანება. მე დიდათ ვწუხვარ საფრანგეთის აღებულებას ინგლისის წინააღმდეგ, რაცა დარწმუნებული ვარ, გულ-წრფელი რესპუბლიკანელთა აზრი არ არის... უკანასკნელათ, რესპუბლიკანელ საფრანგეთს შემთხვევა ჰქონდა ჩვენთვის ხელი გამოწოდა, მაგრამ ეს მან არ მოიმჩქმელა, სამაგიეროთ მონაქმელმა ინგლისმა თავისი დახმარება შემოგვადია (ავტორი გულისხმობს აბსინიელთან ომს). ევროპის დიდი ომის დროს, დიდ-სახელმწიფოთა ახლანდელ განწყობილებაში, მხოლოდ ინგლისთან მეგობრობა მიმაჩნია ჩემი სამშობლოს ერთობის და თავისუფლების თავდაცვლათ... მე მაინც ვიმედოვნებ, რომ შეიძლება მოვიდეს ისეთი დრო, როცა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის კავშირი შესაძლებელი გახდეს და ევროპის ახლანდელი მდგომარეობა შებრუნდეს...“

ამ წერილს იტალიის რესპუბლიკანელი გაზეთი „იტალია“ უმატებს: თუმიცა ბურჰების მამაცობას განვიფრებთში მოვეჯაროთ, მაგრამ ვერ დავიფიქვებთ იმას, რომ ინგლისი არის იტალიის მუდმივი მეგობარი და იმავე დროს უძლიერესი იარაღი ზანსაფრანგის წინააღმდეგ.



ქართული თეატრის საქმე

ქართული თეატრის არსებობა თფილისში დღეს ბევრზე ჰკიდია. იქნება ის თუ არა, განაგრძობს თავის გზას თუ ერთ ალაგას გაჩერდება—ყველა ეს და სხვა ამგვარი კითხვები ამ ჟამათ ბნელით არის მოცული. წარმოდგენები, რასაკვირველია, შესაფერ შენობას მოითხოვს და აი დღეს სწორეთ ეს სათეატრო შენობაა განსაცდელში. ერთათ ერთი

ხელმისაწვდენი დარბაზი ქართული თეატრისთვის არის დარბაზი სათავად-აზნაურო ქარვასლისა. და სწორეთ ამ შენობის დაქცევას და სხვა რამის, უფრო შემოსავლიანი შენობის აგებას მეცადინეობს მისი გამგე კომისია, რომელმაც თავისი გეგმა სათავად-აზნაურობის ხვალინდელ (ოცი მარტის) კრებას უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლათ. მაშასადამე, ხვალ ამ კრებამ ქართული თეატრის საქმეც უნდა განიხილოს და ურიგო არ იქნება ჩვენც განვიხილოთ იგი გაზეთის ფურცლებზე. აი საქმე რაშია:

სათავად-აზნაურო თეატრი აძლევს თავის პატრონთ წელიწადში ოთხიათას-ხუთას მანეთს იჯარის ფულს. მაგრამ გამგე კომისია არ არის კმაყოფილი, ეს ფული ხარჯს და ბანკის ვალის გასტუმრებას არ ჰყოფნის და იძულებული ვართ ზედ დავადეთო. ამას მიემატა მთავრობის განკარგულება—თეატრი შეკეთდეს ისე, რომ ცეცხლისაგან ხალხი უზრუნველ ყოფილი იყოსო. ამ შეკეთებას უნდება 27 ათას მანათამდის. ყველა ეს გარემოება აწონ-დაწონა შენობის გამგე კომისიამ და განიზრახა რამენაირათ თეატრი თავიდან მოიშოროს. მისმა განზრახვამ მიადწია ქართ. დრამატ. საზოგად. გამგეობის ყურამდგ და ახლა ისიც დაფაცურდა. პირველათ მან ოფიციალურათ მისწერა კომისიას და თხოვა სიტყვიერათ ან წერილობით ეცნობებია მისთვის თეატრის შესახები გეგმა, მარა პასუხი ვერ მიიღეს. მხოლოდ კომისიის თავმჯდომარეს ეთქვა დრამატ. გამგეობის ერთი წევრისთვის—პასუხი ვერ მოგვეცი თ იმიტომ, რომ თქვენი ქალაქი ქართულათ იყო დაწერილიო! არ ვიცი ეს ხუმრობით იყო ნათქვამი თუ სერიოზულათ, მხოლოდ ფაქტი პასუხის მიუცემლობისა ფაქტათ რჩება დღევანდლამდის. ამით გამგე კომისიამ უარჰყო დრამატ. საზოგადოების დახმარება და მასთან ერთათ მოლაპარაკება ამ საქმეში, ვითომ ქართული თეატრის შენობის სვე-ბედი სრულგებით არ ეკითხებოდეს ქართ. დრამ. საზოგადოებას. ამ დროს კომისია, რასაკვირველია, თავისას შერება, ის ადგენს გეგმებს ქარვასლის გადაკეთებისას, იწვევს არქიტექტორებს და სხ. საბოლოოდ კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: შვიდი წლის განმავლობაში მოიშოროს ბანკის ვალი, შემდეგ ქარვასლა ხელახლა დააგირავოს და გამოტანილი ფული მის გადაკეთებას მოახმაროს. რაც შეეხება ქართულ თეატრს, მას ამ ხნის განმავლობაში ეძლიოს სამი ათასი მან. წლიური სუბსიდიოა. აი ეს გადაწყვეტილება უნდა განიხილოს ხვალ სათავად-აზნაურო კრებამ. აქედან, ცხადია თეატრის შენობა ამ შვიდ წელიწადს იხურება. ხოლო მერე იქნება



თუ არა ამ გვარი შენობა—ეს კომისიის გადაწყვეტილებაში არ არის მოხსენებული. მხოლოდ კერძოთ ვიცით, რომ კომისიას აზრათ აქვს მერმისში თეატრის მაგიერ გააკეთოს პასაჟები და ზევით საკონცერტო დარბაზი. მაშასადამე, თეატრის შენობა აღარც შვიდ წელს შემდეგ გვექნება. ახლა გავშინჯოთ, ქართული თეატრი იშოვის სხვაგან თავ-შესაფარს თუ არა. თფილისში ამ ეამათ ერთათ ერთი სახაზინო თეატრია, მარა მისი ხარჯები თითო წარმოდგენაზე სამას მან. უდრის. მაშასადამე ქართული წარმოდგენებისათვის ის სრულებით მიუწოდმელია. ქართ. თეატრის საშუალო შემოსავალი 300 მან. ცოტათ გადააცილებს თითოეულ წარმოდგენაზე და სამასი მან. საიდან აძლიოს თეატრის ქირათ. ახლა არტიტების ჯამაგიერი და სხვა ხარჯები? დარჩა მეორე თეატრი, რომელსაც ახლა აშენებენ და მომავალ წლამდის მზათ არ იქნება. ეს არის არტიტული საზოგადოების შენობა, აქ თეატრის ქირა უფრო ნაკლები იქნება, ვინემ სახაზინოში, მარა დანამდვილებით ვიცით, რომ 200 მანეთზე ნაკლებ მანინც აღარ იქნება. მაშასადამე ესეც ძვირია ქართული დასისათვის.

ასე თუ ისე, სითავად-აზნაურო თეატრის შენობის მოშლით იშლება თფილისში ქართული თეატრი და ეს მაშინ, როცა თფილისის ქართველობაში ასე ღრმათ გაიდგა ფესვები ქართული თეატრის სიყვარულმა და ქართული ხელოვნების მოთხოვნილებამ. ამისათვის, თფილისის გუბ. თავად-აზნაურთა კრებას დღეს დიდათ საყურადღებო კითხვა აქვს გადასაჭრელი და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის ამას ქართული თეატრის სასარგებლოთ გადაჭრის. იმან უნდა გადაწყვიტოს პირველათ ქართული თეატრისთვის ან ძველი შენობის გადაკეთება\*) ან მისი დაქცევა და ახლის აგება. ის ამით არც ზარალს ნახავს და აი რატომ: წელს ხშირათ კვირაში ორი ქართული წარმოდგენა იმართებოდა, (ამას მიუმატეთ რუსული და სომხური წარმოდგენებიც). თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ქართულ წარმოდგენებს თანდათან მეტი ხალხი ესწრება, მოსალოდნელია მომავალში ორის მაგიერ სამი, ოთხი და მეტი წარმოდგენის გამართვა კვირაში. მაშინ ერთი შენობა სულ მთლათ ერთიანათ ქართულ თეატრს დაქირდება და რო-

მელი შენობა იქნება ეს, თუ არ საკუთრათ იმ სენსივის აშენებული. ამ შემთხვევაში ქართული თეატრი ხარჯებსაც თამამათ აიტანს და თავად-აზნაურობაც იჯარის ფულს აუწევს. და თუ ცოტა მსხვერპლი საჭირო იქნება მისგან—ეს რა ვუყოთ, რა საქმე კეთდება დღეს ჩვენში უმსხვერპლოთ?

ერთი სიტყვით, თავად-აზნაურთა ხვალინდელმა კრებამ უნდა თქვას: იყოს თუ არ იყოს ქართული თეატრი.



ბ უ რ ე ბ ი.

ოპოლი ყვავილი

(ვუძღვნი ლადოს)

დ, ამ მივარდნილ, მიერუებულ,  
უდაბურ ხევში  
მწირ ნიადაგზე აღმფრცენდი  
ხრიფკ კლდე-დრეში.

კაკაბი ვიფუჳ ჳკრეთ ქარფა,  
რას კლდეს ნახათა  
მზემ სხივი თვისი მოკლეჳრე  
შემოახათა.

მეისვე სიცოცხლის ჳრუანტელმა  
ტანს დამიარა,  
რა ცელქმა სხივმა ცხრაგელ-მეოფმა  
შიგ გამოიარა.

\*) თუ კი კომისია დრამატ. საზოგადოებას წელიწადში სამი ათას მან, სუბსიდიია მისცემს, შვიდი წლის განმავლობაში ეს იზამს 21 ათას მ. ის არა ჯობია ამ ფულით ახლავე გადააკეთოს თეატრის შენობა და დრამატ. საზოგადოებას გადასცეს იჯარით? ეს ფული ხომ მანინც უნდა გაიღოს, დეე ეს ისევ შენობას მოხმარდეს და მით ქართული თეატრი უბინაოთ არ დარჩეს.



ვიფეთქე მშინ აღტაცებით,  
 შიარულათა,  
 ფრთები გაფშალე, გაფიფურჩქე  
 საამურათა.

—  
 მაგრამ... როგორც კი თვალინ ნორჩნი  
 გარს მიმოვავლე,  
 წამსვე დავღონდი და გაჩენის  
 დღე ვივალაღე.

—  
 ამ ხრიკებზე ვერც სამოუწროთ,  
 ვერც სამეგობროთ  
 ვერსად ვიხილე სხვა ევაფილი  
 აქ სამეზობლოთ.

—  
 ვიგრძენ ბღღობა, შემომაწვა  
 გულზე დარღები,  
 მას აქეთ მწარეთ ვტირი, ვტირი...  
 უღროთა გტკნები.

გულისაბა

### აკადემიკოსი ი. რ. თარხნიშვილი

(მისი 30 წლის მოღვაწეობის გამო)

ღმს წლის ორ მარტს 30 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც აკად. თარხნიშვილი მოღვაწეობს მეცნიერებისთვის; ამასთანავე იგი ითვლება ბეტერბურდში ერთ სუკეთესო ლექტორათ. საგანი მისი მოღვაწეობისა არის სამკურნალო მეცნიერება, განსაკუთრებით ფიზიოლოგია და ჰიგიენა.

ივ. თარხნიშვილი დაიბადა 1846 წ. 15 ივნისს თფილისში: კუთუნის ძველ წარჩინებულ თავადშილთა გვარს ქართლში. მამა მისი იყო რუსის სამხედრო სამსახურში და მიაღწია ღენერლის ხარისხამდე. ივანე 12 წლამდე შინ იზრდებოდა, სადაც მას ზატარობაშივე შეგვივრათ შეუსწავლია ფრანგული ენა. სწორეთ ამ დროს ზატარა თარხნიშვილი უნახავს საფრანგეთის ცნობილ მწერალს და მოგზაურს, ალ. დიუმას, რომელიც გაკვირვებულა მისი მკვირცხლი ნიჭით, ხალისით და გამბედაობით. დიუმას მოუწადინებია მისი ზარეში წაეგანა, მაგრამ ამაზე მამა არ დათანხმებულა; სამაგიეროთ ზატარა ივანე შეუყვანიათ თფილისის კლასიკურ ლემნაზიაში, სადაც მას ერთ წელზე მეტი არ დაუგვია.

1860 წელს ის წაიყვანეს ბეტერბურდს და სამი წლის განმავლობაში ჩამოიყვანეს და მიაბარეს კერძო ზასნიონში. კერძოთ ემზადებოდა ატესტატის მისაღებათ. 1863 წ. მან დაიჭირა უკანასკნელი ეგზამენი ლემნაზიაში და იმავე წელს შევიდა ბეტერბურდის უნი-

ვერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. ერთ წელს შემდეგ ის უნებებს თავს უნივერსიტეტს და შედის სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში, რომელშიაც დასრულა კურსი 1869 წ. აკადემიის კარდაწვეტილებით ახადგაზდა თარხნიშვილი დატოვებულ იქმნა აკადემიაშივე სამი წლის ვადით, შემდეგ გაიგზავნა საზღვარ-გარეთ ზროფესორობისთვის მოსამზადებლათ.

ი. თარხნიშვილმა აკადემიის მეორე კურსიდანვე გამოიჩინა ნიჭი და შრომის მოუფარეობა; კურსის დამთავრებამდე დაწერა 5-დე ზატარ-ზატარა სამეცნიერო წერილი. 1869 წ. მან დაიცვა დოქტორის ხარისხზე დისერტაცია შემდეგი სათაურით: „Вліяніи согрѣванія и охлажденія на чувствующіе нервы, спинной и головной мозгъ“ — (1870 წ. ცალკე გამოშუდი).

1873 წ. ი. თარხნიშვილი, როგორც ვთქვით, აკადემიის კარდაწვეტილებით წავიდა საზღვარ-გარეთ, მთარა უკელა სუკეთესო ქალაქები, გაეცნო იქაურ სუკეთესო სამკურნალო ლაზარატორიებს, სწავლების სისტემებს და სპეციალურათ მუშაობდა ჯერ სტრასბურგის, მერე ზარიყის უნივერსიტეტში. ყოველგან ის მუშაობდა სუკეთესო მეცნიერთა ხელმძღვანელობით. ამ გვარ მეცნიერთა გუნდს ეკუთვნოდენ ზროფესორები: განზე-ზეილერი, კოლცი, რეკლინგაუზენი, ვალდებრი, გამონილი კლდბენარი, შარკო, რანვიე, მარკი და სხ.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებას შემდეგ, 1875 წლიდან იგი დანიშნეს ექსტრაორდინარულ ზროფესორათ სამხედრო სამკურნალო აკადემიაში და ერთ წელს შემდეგ დაამტკიცეს ორდინარულ ზროფესორათ ფიზიოლოგიისა. 25 წლის დამსახურებას შემდეგ — 1895 წ. — მან მიიღო სამეცნიერო ხარისხი აკადემიკოსისა და იმავე წელს აკადემიის მმართველობისთან სხვა-დასხვა უკმაყოფილების გამო, თავი დაანება სამსახურს. 1895 წ. იგი არის ბეტერბურდის უნივერსიტეტის ზროფატ-დოცენტათ და ეველა კურსების სტუდენტებს უკითხავს ლექციებს ფიზიოლოგიაზე.

მრავალ მის ნაწერთა შორის აქ აღვნიშნავთ უმთავრეს მათგანს: 1, „О психомоторныхъ центрахъ у человека и животныхъ“ (იბეჭდებოდა „В. Е.“ და 79 წ. ცალკეც გამოცემული); 2, „Объ ядахъ въ организмѣ животныхъ и человека и борьбѣ съ ними“ (ცალკე); 3, „Жизнь, какъ броженія“ (В. Е. 80 წ.); 4, „Вліяніи свѣта на человека и животныхъ“; 5, „Объ обманахъ сознания“ (იქვე); 6, „О гипнотизмѣ, внушеніи и чтеніи мыслей“ (ცალკე); 7, „О простудѣ“ (99 წ.); 8, „О закаливаніи человеческого организма“; 9, „Физиологія и психологія обезглавленія“ (იქვე № 16, 17, 19 და 20—98 წ.); 10 „Физическія





ბურჯინის არტილერია




энергии природы въ качествѣ лечебныхъ силъ“ (იქვე № 4); 11 „периодичность въ явленіяхъ жизни и ближайшихъ ея причинахъ“ (იქვე № 2, 3 და 8); 12, „О раздражителяхъ, какъ необходимыхъ условіяхъ существованія“ (იქვე 99 წ. № 1, 4 და 14) და მრ. სს.

ო. თარხნიშვილს აქვს გადათარგმნილი რამდენიმე თეზისი ფიზიოლოგიის სახელმძღვანელო, მაგ. „Общая физиология“—Прейера, „Учебникъ физ.“—Фостера, „Физиология пищеваренія“—Эвальда და მისი რედაქციით და წინასიტყვაობით არის გამოცემული ჯერაც უკვდავი თხზულება ზოოლოგიისა— „Зоология“ უკანასკნელ—98—99 წ.წ. ი. თარხნიშვილი წერდა ზეტეტურბურდის სალიტერატურო და სამეცნიერო ორგანოში „Журналъ журналовъ“, სადაც უკველ ნომერში შესვდებით მისი ერთ ან ორ ზეზუღიარულ წერილს. სხვათა შორის ჩვენ იქ ვნახეთ შემდეგი წერილი: „О необходимой коренной реформѣ въ организациі рус. минеральныхъ водъ“ (№ 8, 99 წ.) სადაც სხვათა შორის დახარკობს კავკასიის სამეურნეო წყლების გაუმჯობესება-მოწოდებაზე.

ამ უამაო ივ. თარხნიშვილის რედაქციით გამოდის ზეტეტურბურდში ზეზუღიარული საჭიგოენო და სამეურნალო ბიბლიოთეკა: „Спутникъ здоровья“. არა მცირედი შრამა მიუძღვის ბ. თარხნიშვილს „სახალხო უნივერსიტეტის“ მოწოდებაში; მაგ. კვრეთ წოდებულ „სალიანთი გორდდოკში“, სადაც გამართულია რამდენიმე სახალხო აუდიტორია, თარხნიშვილი კითხულობს ლექციებს, რომელსაც მუდამ აუარებელი ხალხი ესწრება.

ბ. ივ. თარხნიშვილი თავის ლექციებს ჩვეულებრივით ზეზინათ კითხულობს და როცა ისინი დაიბეჭდება ჩვენს აზრით შესამჩნევ ადგილს დაიჭერს რუსულ ზეზუღიარულ ლიტერატურაში ბ. ივ. თარხნიშვილი თავის ლექციებში მუდამ სარკებლობს ახალი აღმოჩენებით მეცნიერებაში და ეხება უფრო მის სოციალურ მნიშვნელობას, ზრატკიეულ სარკებლობას.

იხ. კვიტარიძე



ვ ა კ ვ რ ი თ

მუთისის სახლგაზდობის ერთმა ნაწილმა, რომელიც მოდვასწობს საკვირაო სკოლაში, განიზრახა სახალხო წიგნების გამოცემა. ამ საგნის შესახებ იმათ რამდენჯერმე ჭქანდათ მოლაზარაკება. ამის მოუსწრო ადგილობრივი წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კრებამ და ზოგიერთებს ის აზრი გამოთქვეს, რომ უმჯობესია იქნება შევეერთდეთ არსებულ „ამხანაგობას“, მივიღოთ მისი მართვა-გამგეობა, თუ კი „ამხანაგობის“ წევრნი გვენდობიან, დავისნათ იგი სრულად გაუქმებისაგან. აგერ

სრული სამი წელიწადი გადის და ამ „ამხანაგობის“ არავითარი ნიშან-წყალი არ ამხელს მის სიტყვებს. ადრინდელმა მისმა გამგეებმა ნათლათ დაუმტკიცეს საზოგადოებას, რომ ისინი მოკლებული არიან უფლებსავე უნარს ამისთანა საქმის გადგომისას. რადგანაც „ამხანაგობის“ საქმე დღეს ასეთ მდგომარეობაშია და არც იმედია მერმისში მისი გამობრუნებისა, უნდა ვიფიქროთ რომ წევრნი „ამხანაგობის“ მთლათ გაუქმებას უმტკილათ ამჯობინებენ მათი საქმეების მართვა-გამგეობის ჩვენდამი გადმოცემას.

აი, სწორეთ იმ განზრახვით, რომ შეძლებისამებრ სამსახური გაეწიათ ხალხის განათლებისათვის და თანაც „ამხანაგობაც“ ეხსნათ გაუქმებისაგან, ეს სახლგაზდობი მივიდენ კრებაზე და წინადადება მისცეს მიენდოთ მათთვის „ამხანაგობის“ მართვა-გამგეობა. ამათ წრფელ განზრახვაში ზოგიერთებმა რადაც თარული ინტრიგები ამოიკითხეს, მოელანდათ შესამე დასი და ამ საშინელმა მოჩვენებამ მთლათ აურიათ დავთარი. „არაქა, ვინ ხარ მამაციო!“ დაიძახეს, ამათ თავისი აზრების გასაფრცვლებლათ უნდათ ხელში ჩაიგდონ „ამხანაგობის“ მართვა-გამგეობა.

ზოგიერთმა ორატორმა თავისი უინი და გულის წერომა სკამებზე ამოიყრა.

ამათ არწმუნებდენ კარისხებულთ: აქ ზარტიობა არაფერ, შუაში, ჩვენ გვსურს მხოლოთ „ამხანაგობას“ რომელიც თქვენ ხელში სულს დაფავს, სიტყვსლე შევარჩინოთ, ვიმრამოთ... მარა შენც არ მომიკვდე, ისინი დაუინებოთ გაიძახოდენ, თქვენ ვინა ხართ, ჩვენში მოხუცები არავინაა...

მოზირდაზირენი იმდენათ გაცხარდენ, რომ კრების დასასრულ ერთმა მათგანმა უტენზურო სიტყვაც-კი იხმარა, მარა ამასვე ვღუმი.

ვღუმ აგრეთვე ამ ახირებული კრების დაწვრილებით ანკარიშზე, რადგანაც ის რომელიმე ახირებულ საფუნჯო გაზეთს თუ გამოადგება მასლათ, თორემ თქვენ გაზეთში მას ალაგი არ ექნება.

ქუთათური

მ ყ ი რ ე მ ე ნ ი შ ე ნ ა

„ოვერის“ ხელმეორეთ გამოულაშქრია ჩემსა დახემ მარწმუნებულთა წინააღმდეგ (№ 47). მე მამინ აქ არ გახლდით და ამიტომ ზასუხის მიტემა დამიგვიანდა და ახლა ვთხოვ „კვალის“ რედაქციას დამიბეჭდოს შემდეგი წერილი.

„ივერის“ წერს: რომელმა ხალხმა და სად მიანდოვანილ კირვალის ხალხის წარმომადგენლობა, ამ ვითომდა წარმომადგენელს რომ წარმოსთქვა ესა თუ ის სიტყვა და სხვა. კიდევ ქვევით წერს: დააკვირდით გლეხის კირვალის წერილს: იგი წერს მე ერთმა წარმომადგენელ-





თავსა დაბალი ხალხისა რაც ვთქვი ჩემი წმინდა რწმენა იყო და არის. ეს კირვალის „წმინდა რწმენა“ უფრო და ხალხი აქ რა შუაშია? კითხულობს „ივერია“. ჩემ წერილში მე მოხსენებული მქონდა, ეს დავალება იყო ხალხისაგან-მეთქი („კვალში“ გამოტოვებული იყო) და ვუმატებდი, ჩემი წმინდა რწმენა ეს იყო და არის-მეთქი, და არა ის რომ ვითომ მხალხთ ჩემი რწმენა უფრო იყო. (რომ ეს ასე იყო, ამას დამტკიცებს ასი კაცი მთელი ხელ მწერილი საბუთის ქაღალდი, რომელსაც ამასთანავე ვარდებენ, რომლის ძალით მე ვიღებოდა 16 ანვარს განსვენებულ გ. წერეთლის საფლავზე. აი ეს ქაღალდი.

„1900 წელს იანვრის 14 დღეს ჩვენ ამის ქვემოთ ხელის მომწერლებმა გაიგეთ რა ფრიალს სამწუხარო ამბავი ჩვენი სამშობლოს მოღვაწის გიორგი ექვთიმის-ძის წერეთლის გარდაცვალება, ამოვირჩიეთ ჩვენ წარმომადგენელთ ერთი პირი: ბ. ვასილ კირვალის და ექვთიმე აბაშიძე, დავაჯდეთ ივისრონ თფილისის მოსამსახურეთა წარმომადგენლობა და დაესწრნ ზეგ, თქვეს-მეტ იანვარს, გიორგი წერეთლის გვამის გამოსვენებაზე, წარმოთქვან სიტყვა და გამოუცხადნ ჩვენი უდრმესი გულის ტკივილი გ. წერეთლის ასე უდრფოთ დაკარგვის გამო. აგრეთვე გაჰკიცხონ ის ჯგუფი, რომელიც ჩვენი ქვეყნის დიდებულ მოღვაწეს, გ. წერეთელს, უმართებულთ დევნიდა და ღანძღავდა უშვირის კილოთი სიტყვებში, აგრეთვე გაჰკიცხონ ვაზ. „ივერიის“ ზოგიერთი ნომრები და მეტადვე ამ იანვრის პირველი ნომერი, რომლის ფურცლებზე იმოდენა ღანძღვა-თრევა და უმართებულ ცილის-წამება და ღანძღანდარობა იბეჭდება ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტ თავდადებულ მამულის შვილების საგმობელთ და სადევნელთ“. ხელს აწერს ასერთი კაცი \*).

ახლა მაინც გაიგონ „ივერია“— „მოამბე“ მქონდა თუ არა უფლება და, არა თუ უფლება, პირდაპირი დავალება ხალხის სახელით შეღებოდა.

მარა მაგათი აზრით ვინც ბანკირი ან „აბლაკატი“ ან არის ის კაციც არ არის! „ივერია“ ახლა ბძანებს „კირვალის“ რა კაცია და რა ხალხის წარმომადგენელია, მარა ამ საბუთის მერე უეჭველია იტყვიან, მოსამსახურეები რა ხალხია, კიდევ მერე—მუშები ვინ არიან, ბოლოს იტყვიან—გლეხები ვინდა არიან. მაგათ ჯერ კიდევ ნადელს ვართმევთ და ჩვენი ნაუშეები ნასიდი-გაუდიულები არიან და სხ. და სხ. ამას იტყვიან „ივერია“, მიტომ რომ

ადვირ აწვევტილია, თორემ აბა რა სათქმელი იყო „ივერია“ ის, რომ „რომელმა ხალხმა დაუმტკიცა კირვალის წარმომადგენლობა, ან სად მიანდა ესა თუ ის სიტყვა სთქვი“ და სხ. აბა ამაზე იტყვიან „წავალ წადეული ხავსს კვიდებოდა“; რომ ჩვენც მივაბრუნოთ ასე უკუდმართათ ნახმარი „ივერიის“ იარაღი და შეგადროთ სიტყვა მის ბრწინვალეებს ილია ჭავჭავაძის— რედაქტორს „ივერიისს“— და ვკითხოთ, ვინ დაულოცა წარმომადგენლობა მას, რომელმა ქართულმა მისცა რწმუნების წერილები, რომელ ნოტარიუსში იყვნ იგინი დამტკიცებული, როდესაც თ. ილია ჭავჭავაძე ვერის ბაღში სხვა-და-სხვა ჭრელ-ჭრელ სიტყვებს ეუბნებოდა მთელი საქართველოს მაკიერ საფრანგეთის მწერალს ბ. დუბაის და რუსეთის ბ. მარკოვის? და, ასე გაშინჯეთ, ჩანოც კი მიართვა მთელი კავკასიის სახელით. ეს ისე სიტყვამ მოიტანა თვარა ჩვენ ამას არ შეგვადრებოთ „ივერიის“ რედაქტორს. ამ გვარი რამ მათი საქმეა და დემეტრე მათი მოახმაროთ.

რაც შეეხება ჩიორას სიტყვებს, კირვალის მწვრილ-მანჯარ, მე მწმამს რომ ჩიორას და მის ძმებს არაფრათ ეჭვშია კართველების ვაჭრობაში იყნის ჩადგმა, მაგრამ, მათ სამწუხაროთ, ქართულბაში მწვრილმანებიც მრავლდებიან და ვაჭრებიც.

გლენი ვას. კირვალისძე

ამავე საგანზე მივიდეთ კიდევ რამდენიმე წერილი, რომელთა შორის ვბეჭდავთ მხალხთ შემდეგს:

ჩვენდა სამწუხაროთ იძულებული შევიქნით ხმა ამოვიდოთ იმ უწმწური ღანძღვა-გინების წინააღმდეგ, რომლითაც ეს რამდენიმე ხანია ასე დაუბნობთ კვებავს „ივერია“ თვის ხელის-მომწერელს და მკითხველებს. მართალი მოგახსენოთ, ცოდვით ჩეთულება უფელ ჩვენგანს, დიურ მშრომელ მუშა და ხელისა ხალხს, რომ თავისი მშრომელი მარჯვენა შეახოს იმ ყურნალ-გაზეთების ფურცლებს, სადაც მხალხთ თავისი ქვეყნის საუკეთესო მამულიძელების ღანძღვა-გინების მეტი არა არის რა, მაგრამ იძულებული ვართ ერთხელ მაინც ამოვიდოთ ხმა.


მოგახსენებთ, რომ განსვენებული გ. წერეთლის დასაფლავების დღეს სიმართლის დადას ბეგრი გაუმწვავ-გაუწმამტებია, მაგრამ უკვალზე უფრო გაწმამტებულია „ივერია“ და მისი მოხსირ-კედელე „ჩიორა“; მას პირველი ხმა მოამბის რედაქციდან მისცა ბ. ლაღმა: აქა ვარ მე, ნუ გეშინიათო. და ასე ერთათ შეერთებულებმა ვინ იცის რა ცილი არ დაწამეს ხალხს და ვის რა არ უწოდეს: უსირცხვილო, უტაქტო, უზნეო და სხვა სულ ამ გვარი ზნე მადლი და ფაქიზი სიტყვები. პირდათ მე, თქვენ უმარხილეს მონას, „ვიღაც“ „რადაც“ „ძალათ განოტებული“, ჩემ ლექსს კიდევ „აღექსისებური რადაც“ და სხვა მრავალი.

\* ეს ქალაღი ინახება „კვალის“ რედაქციაში და ვიცის სურს შეუძლია ნახოს და შეამოწმოს. განსაკუთრებით მოვიწვევთ „ივერიის“ და „მოამბის“ თანამშრომელთ, რომლებიც ასე უწესოთ მოექცენ ხალხს და მის გულის ტკივილს რედ.



„ივერიის“ ამ გვარი საქციელი სრულიად არ გვაკვირვებს, რადგანც თავის დაბრუნებას და ურის მოკრეპებას მისი მტრებს და ანდრეძას, თორემ ახა რაიი ახსნებს ის გარემოება, რომ კვლავ სიამოვნებით უბუკლიათ ჩემი ლექსები „ივერიაში“ და რადესაც მათ შეგვხვებოდა ჩემი ლექსი შექმნა მათთვის „ლექსისებური რადაცა“ და მე კიდევ „ვიდაცა“. ეს გ. წერეთლის საფლავზე წარმოთქმული ჩემი ლექსი თავის დროზე დაიბეჭდა „კვალში“, მკითხველმა უკვე გაიგო რა დაგეგმე და რა მოგვიწონე, მაგრამ „ივერია“ რა „ივერია“ იქნებოდა, თუ ჩვეულებრივად არ გადასხვავდებოდა და არ გადაამახინჯებდა სხვის ნათქვამს, მაგალითათ: „ვიდაცა“ ნაშრომის მერვედივე თავისს „ლექსისებურ რადაცა-შიდ“ წვევლას კრუდით იხსენიებდა მათ, ვინც გიორგი წერეთლის ყოველს მცნებას წმინდად ანასრულებდა,“ და სხ. რა ნდობა უნდა ჰქონდეს იმ ბუკდურ სიტუვას, რომელიც ასე ამახინჯებს სხვის ნათქვამს? მხოლოდ იმით ვნუგეშობთ, რომ ანაგიათარი ნდობა „ივერიაში“ უშეკრბას არ აქვს დაბადი ხაფხის თვალში...

ხელოვანი ნაშრომის მერვედივე.



საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა შესრამეტი საუკუნეში.

III. მცხოვრებნი.

(დასასრული მეორე თავისა)\*

მცხოვრებთა დაწინაურება წადებრივ ურთიერთობათა მიხედვით. ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის დასახსიათებლათ დიდი მნიშვნელობა აქვს მცხოვრებთა წოდებრივად დაყოფას. მართალია, ძველი წოდებრივი ურთიერთობანი, რომელთა საფუძველს შეადგენდა ფეოდალურ-ბატონ-ყმური წეს-წყობილება, თანდათან ჰქრებიან და ცხოვრებაში ყოველგვარ რეალურ მნიშვნელობას ჰკარგავენ, მაგრამ იმათი გავლენა ვერ კიდევ საგრძობელია. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ეს მხარე სრულიად უყურადღებოთ დავტოვოთ. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა წოდებრივ მოძრაობაზე მეტათ ღარიბი მასალა გვაქვს, და სანამ 1897 წლის ერთი დღის აღწერის დაწვრილებითი ცნობები არ გამოქვეყნდება, ამ მოძრაობაზე ჩვენ სრულ წარმოდგენას ვერ შევადგენთ. დღეს-ღღობით ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ ერთი მხრით მით, რასაც იძლევა ამ საგნის შესახებ 1886 წლის ცნობები საერთოთ მთელი ამიერ-კავკასიის შესახებ, და მეორე მხრით მით, რასაც ვპოულობთ მესამოცე წლებიდან კერძოთ თფილისის და ქუთაისის გუბერნიების შესახებ.

\* იხ. „კვალი“ № 9.

1886 წელს ამიერ-კავკასიაში ირიცხებოდა:1)

I. თავდაზნაურობა	- 135,791 სული,	ანუ 2,869/1000
ამათში თავადები	- 17,766	—
აზნაურები	- 70,888	—
ბეგები, ალაღარები და მელიქები2)	- 47,137	—
II. ყველა სარწმუნოების სამღვდლოება	- 50,672 სული;	ანუ 1,120/1000
III. საპატოო მოქალაქენი, ვაჭრები და ხელოსნები ერთათ	- 369,353 სული;	ანუ 7,870/1000
IV. ყველა კატეგორიის გლეხკაცობა	- 3,954,7743)	სული;
ამათში 1) სახელმწიფო გლეხები:		
ა) სახაზინო მიწაზე	- 2,098,496.	
ბ) მებატონეთა მიწაზე4)	- 752,971.	
სულ სახელ. გლ.	- 2,852,467.	
2) მესაკუთრენი	- 363,106.	

1) Сводъ Стат. данныхъ о нас. Зѣк. края. არ შეგვიძლია აქ კიდევ ერთხელ არ აღვნიშნოთ ამ წყაროს შეცდომები წოდებათა რაოდენობის აღწერის მხრითაც. მაგალითათ, თუ 1886 წელს ყველა წოდებათა საერთო რიცხვს ავიღებთ, გამოვა, რომ ეს რიცხვი ნაკლებია ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით, იმავე წელს დაახლოებით 175,000. ჩვენ ვიცით, საიდან არის წარმომდგარი ეს უთანხმოება. საქმე ის არის, რომ ამ წყაროში სრულებით ნაჩვენები არ არის, თუ რამდენი დროებით ვალდებული გლეხი ირიცხებოდა 1886 წელს თფილისის გუბერნიის გორის, ახალქალაქის და სიღნაღის მაზრებში და ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის, რაჭის, სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში.

2) ბეგი თათრულათ ნიშნავს მბრძანებელს, ალაღარი — ბატონს, მელიქი არაბულათ — მფლობელს.

3) ნამდვილათ კი გლეხ-კაცობის რიცხვი ამიერ-კავკასიაში აღნიშნულ წელს ამაზე მეტი უნდა ყოფილიყო.

4) არ შეგვიძლია აქ მკითხველის ყურადღება არ მივაქციოთ იმ სახელმწიფო გლეხების ბედს, რომლებიც დასახლებული არიან მებატონეთა მიწაზე (на владѣльческой землѣ). ისინი ცხოვრობენ განსაკუთრებით იმ პროვინციებში, რომელნიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს სპარსეთის და ოსმალეთის სამფლობელოს შეადგენდენ, გარდა ბორჩალოს მაზრისა, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს ეკუთვნოდა. ეს პროვინციები, ე. ი. დღევანდელი ბაქოს, ერევნის და განჯის გუბერნიები და რამდენიმე ნაწილი თფილისის და ქუთაისის გუბერნიებისაც, დასახლებული იყო თათრებით და სომხებით. ცნობილია, რომ არც თათრებში და არც სომხებში არ განვითარებულა ის წეს-წყობილება, რომელსაც ბატონ-ყმობა ანუ ფეოდალიზმი ეწოდება. დაპყრობილი მიწა იმამის განკარგულების ქვეშ იყო. სოფლის მცხოვრებთ, მიწის მომუშავეთ, განსაზღვრული გარდასახადი, ხარჯი ჰქონდათ დადებული ხაზინის სასარგებლოთ. თითოეულ პროვინციას განაგებდა და მართავდა პირდაპირ იმამისაგან დაყენებული პირი,



3) დროებით ვალდებულნი — 75,457<sup>5</sup>).

4) ხიზნები — 48,997.

V. უცხოელნი — 7805 სული; ანუ 0,10%

თუ ახლა ამიერ-კავკასიის წოდებათა პროცენტულ ურთიერთობას შევუდარებთ მთელი რუსეთისას, დავინახავთ, რომ რუსეთში 1870 წელს მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით შეადგენდა: 6)

თავად-ახნაურობა — 1,20%

სამღვდელოება — 0,90%

ქალაქის წოდებანი — 9,20%

სოფლის წოდებანი 81,50%

უცხოელნი — 0,25%

მაშასადამე რუსეთთან შედარებით ამიერ-კავკასიაში თავად-ახნაურობა მეტია 1,69%, სამღვდელოება — 0,22%, სოფლის წოდებანი — 2,59%; სამაგიეროთ ქალაქის წოდებანი და უცხოელნი ნაკლებია: პირველი — 2,67% და მეორენი 0,11%. ეს იყო მეოთხმოცე წლებში.

განვიხილოთ ახლა ამ მხრით კერძოთ თფილისის და ქუთაისის გუბერნიები, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება არსებული მასალის საშუალებით

თფილისის და ქუთაისის გუბერნიები 1859 — 1861 წ.წ.

გუბერნიების სახე-ღებები	თავად-ახნაურობა	სამღვდელოება	მოკალაქენი	სახელმწიფო		საკეცესია		საბატონო	
				კომლი	სული	კომლი	სული	კომლი	სული
თფილისის	21,538	8,993	25,535	—	342,400	8305	55,399	17,281 <sup>7</sup>	122,247
ქუთაისის <sup>8</sup>	23,524	—	—	15,030	117,001	6,209	46,481	24,524	181,387
სულ	45,062	8,993	25,535	15,030	459,401	14,514	101,880	41,805	303,634

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ მესამოცე წლებში თფილისის და ქუთაისის (ქუთაისის მხოლოდ ხუთი მაზრის) გლეხ-კაცობა ერთათ შეადგენდა დაახლოვებით 864,915 სულს, თავად-ახნაურობა 45,062 სულს. მაშასადამე ორივე გუბერნიაში მაშინ ერთ კეთილშობილზე მოდიოდა დაახლოვებით 19 გლეხი, ამასთანავე თფილისის გუბერნიაში 1 კეთილშობილზე მოდიოდა 24 გლეხი და ქუთაისისაში 14 გლეხი. ვნახოთ ახლა რას წარმოადგენდენ იგივე გუბერნიები 1886 წელს: 9)

სახელმწიფო მოხელე, რომელიც ამისთვის ხაზინიდან ჯამაგირს არ ღებულობდა: მისთვის გადაკვეთილი იყო პროვინციის გადასახადის ერთი ნაწილი, რომელსაც იგი პირდაპირ მცხოვრებთაგან იღებდა. ეს მოხელეობა არ იყო საშვილი-შვილო, და თუმცა ხშირათ მამისაგან შვილზე გადადიოდა, მაგრამ ეს თხოულობდა ბარათის განახლებას, რაც აგრეთვე თვით იმამის გამოცვლის შემდეგაც ხდებოდა. მაშასადამე, თვით მიწაზე იმათ არავითარი უფლება არ ჰქონდათ, მათ არ შეეძლოთ მისი გადაცემა, გაჩუქება, ან გაყიდვა, — ერთი სიტყვით იგი არ შეადგენდა მათ საკუთრებას. მაგრამ ასე არ უყურებდნენ ამ საქმეს. იმათი შეხედულებით, ბევრები, ალაღარები და მელიქები იყვენ ნამდვილი მებატონენი ფეოდალის უფლებებით ყმებზე და მიწაზე. ასეთი მიმართულება დაბადა პირველათ კავკასიის მთავარ გამგე ერმოლოვმა (1816—1826). ამნაირათ ერმოლოვის წყალობით ხსენებულ პროვინციებში უნდა ჩამოვარდნილიყო ბატონ ყმური წეს წყობილება, და რამდენსამე ხანს ეს მართლა ასეც მოხდა. მხოლოდ მეორმოცე წლებში შეხედეს ამ საქმეს სხვა თვლით. პირველათ სენატორმა ბარონ განმა გარკვევით და ნათლათ წარმოთქვა ის აზრი, რომ ბევრები, ალაღარები და მელიქები სრულებით არ იყვენ ბატონები, არამედ უბრალო სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ჯამაგირის მაგიერათ სოფლებისაგან იღებდენ გადასახადს. ამიტომ იმათ უნდა ჩამოერთვათ მიწა, რომელიც სახაზინოთ უნდა ჩაირიცხოს და სამაგიეროთ სიკვდილამდის დაენიშნოთ პენსია. ამერ-კავკასიის უმაღლესი მთავრობა მიემხრო ამ აზრს. 1844 წლის გასულს ბევრები, ალაღარები და სხვები იცნეს მიწის მესაკუთრეებათ, ხოლო მათ მამულზე დასახლებული გლეხები არა ყმებათ, არამედ თავისუფალ მცხოვრებლებათ, რომლებიც დასახლებული არიან კერძო მებატონეთა მიწაზე. ასეთ ნიადაგზე შემუშავდა 1847 წლის „დებულება“ და შემდეგ „Поселянское Положение“ 1870 და 1877 წლების (იხ. ამის შესახებ Сводъ матеріаловъ по изуч. эконом. быта Госуд. кр. Закав. края, т. I, ч. II.).

5) როგორც განმარტებული გვაქვს პირველ შენიშვნაში, ეს ციფირი სინამდვილესთან ძლიერ შორს არის.

6) Ю. Янсонъ. Сравнит. статистика Россіи и Зап.-Евр. гос., част., т. I, стр. 82.

7) ბ. აღ. ფრონელის ცნობებით („ივერია“ № 250 1899 წ.) 1864 წელს იყო 14,230 კომლი საბატონო გლეხი. ბ-ნი ფრონელი არ ასახელებს წყაროს; ჩვენი ცნობები კი ამოღებულია „Сборникъ Стат. Свѣд. о Кав., т. I.

8) ქუთაისის გუბერნიის ცნობები შეიცავს მხოლოდ შემდეგ ხუთ მაზრას: ქუთაისის, შირაქის, ოზურგეთის და ახალციხისას.

9) ამ ხნის განმავლობაში ხსენებულ გუბერნიებში დიდი ტერიტორიალური ცვლილება მოხდა: თფილისის გუბერნიას მოაკლდა განჯის მაზრა, სადაც უმრავლესობა სახელმწიფო გლეხებისაგან შედგება, ქუთაისის — ახალციხის მაზრა, რომელიც შემოუერთდა თფილისისას. სამაგიეროთ ქუთაისის გუბერნიას მოემატა ბათუმის ოლქი.



გუბერნიების სახელები	თავდაზნაურობა	სამლევლოება	მოქალაქენი	გ ლ ე ხ ე ბ ი					
				სანემწიფო გლეხები.		მესაკუთრენი	დროებით ვალდებულნი	ხიზნები	
				სახ.ზ. მიწაზე	მებატ. მიწაზე				
თფილისის	23,327	10,655	82,378	415,114	127,984	24,379	61,841	33,747	
ქუთაისის	62,004	16,325	47,421	217,468	211,855	328,674	13,616	15,250	
სულ	85,331	26,980	129,799	632,280	339,839	353,053	75,457	48,997	

სამწუხაროთ ამ ცნობებისაგან არავითარი დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება, რადგანაც დროებით-ვალდებულ გლეხთა რიცხვის სულ მცირედი ნაწილია მოყვანილი, გარდა იმისა, რომ როგორც დროებით ვალდებული გლეხები, ისე ხიზნები მხოლოდ თფილისის და ქუთაისის გუბერნიებში ცხოვრობენ. მაგრამ 1890 წლისთვის ჩვენ გვაქვს ამ საგანზე კიდევ სხვა ცნობები, სახელდობ<sup>10)</sup>: თავდაზნაურობა თფილისის გუბერნიაში შეადგენდა 25,846 სულს და ქუთაისისაში 51,110 სულს. გარდა ამისა იმავე წელს თფილისის გუბერნიაში ითვლებოდა 19,937 კომლი დროებით ვალდებულ გლეხთა. ქუთაისის გუბერნიაში 1869 წელს ამავე კატეგორიის გლეხები 48,261 კომლი იყო, 1889 წლამდის ამათგან თავი დაიხსნეს 23,407 კომლია.<sup>11)</sup> რაც შეეხება მესაკუთრე გლეხებს, თფილისის გუბერნიაში 1890 წ. იყო 8363 კომლი, ქუთაისისაში 96,912 კომლი, 245,308 სული. მაშასადამე, ეს ცნობები არ ეთანხმებიან 1886 წლის ცნობებს.

ზემოთ მოყვანილ ცნობებისაგან ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ მხოლოდ ერთი დასკვნა, სახელდობ ისა, რომ ეს ცნობები არა თუ მეტათ არეულ-დარეულია და სრულებით სანდო არ არის, არამედ იმათი საშუალებით ძნელია ვინმემ ნამდვილი წარმოდგენა შეადგინოს წოდებთა რაოდენობის მოძრაობაზე ჩვენში. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვეცდებით, რამდენიმეთ მაინც გამოვხატოთ ეს მოძრაობა.

1865<sup>12)</sup> წელს თფილისის გუბერნიაში გლეხკაცობა შეადგენდა 86<sup>0</sup>/<sub>100</sub>, სამხედრო 4,2<sup>0</sup>/<sub>100</sub>, თავდაზნაურობა 3,5<sup>0</sup>/<sub>100</sub>, სამლევლოება 1,5<sup>0</sup>/<sub>100</sub> და ქალაქის წოდებანი 4,21<sup>0</sup>/<sub>100</sub>. 1886 წელს კი პირველი შეადგენდა 84,55<sup>0</sup>/<sub>100</sub>, თავდაზნაურობა 2,89<sup>0</sup>/<sub>100</sub>, სამლევლოება 1,34<sup>0</sup>/<sub>100</sub> ზე ქალაქის წოდებანი 10,20<sup>0</sup>/<sub>100</sub>. ქუთაისის გუბერნიის შესახებ არც ასეთი დაახლოვებითი გამოანგარიშებაა შესაძლებელი. მხოლოდ თფილისის გუბერნიასთან შედარებით 1886 წელს იქ იყო: თავდაზნაურობა 6,73<sup>0</sup>/<sub>100</sub>, სამლევლოება

1,77<sup>0</sup>/<sub>100</sub>, სოფლის წოდებანი 85,91<sup>0</sup>/<sub>100</sub>, ქალაქის 113,13<sup>0</sup>/<sub>100</sub>. რა თქმა უნდა ამ უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში ასეთი ურთიერთობა შესამჩნევად შეიცვლებოდა, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ არა გვაქვს ფაქტური მასალა. ამნარათ ჩვენ ვხედავთ, რომ თავდაზნაურობა და სამლევლოება საქართველოში დიდ პროცენტს შეადგენს არათუ რუსეთთან შედარებით, არამედ საერთოდ ამიერ-კავკასიასთანაც. პირველთან შედარებით თავდაზნაურობა საქართველოში მეტია 3,73<sup>0</sup>/<sub>100</sub>, მეორესთან—2,04<sup>0</sup>/<sub>100</sub>. ამ მხრით დიდი განსხვავებაა თფილისის და ქუთაისის გუბერნიებს შორისაც: პირველში თავდაზნაურობა შეადგენს 2,89<sup>0</sup>/<sub>100</sub>, მეორეში—6,73<sup>0</sup>/<sub>100</sub>. ამ ცნობებისაგან სხვა დასკვნის გამოყვანას ჩვენ არ ავუჩქარდებით. მაგრამ სანამ ამ თავს გავათავებდეთ ჩვენ უნდა შევეხოთ კიდევ გლეხ-კაცობის ერთ ნაწილს, სახელდობ სახელმწიფო გლეხობას, მაგრამ არა მთლათ, არამედ იმ ნაწილს, რომელიც დასახლებულია სახაზინო მიწაზე და რომელსაც მთავრობაც განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს. სახაზინო გლეხები იყვენ ამიერ-კავკასიაში:<sup>13)</sup>

გუბერნიების სახელები	1873 წ.		1884—85 წ.წ.		მატებ. ზღ კლებ. <sup>0</sup> / <sub>100</sub>
	კომლი	სული	კომლი	სული	
თფილისის	42,757	327,966	48,250	309,090	- 5,75 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
ბაქოს	61,850	383,345	64,650	424,644	+ 10,76 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
განჯის	43,988	286,158	49,486	350,918	+ 23,63 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
ქუთაისის	17,930	123,719	20,997	138,848	+ 12,22 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
ერევნის	46,749	373,803	53,182	447,729	+ 19,77 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
სულ	213,275	1.494,991	236,565	1.671,229	+ 11,79 <sup>0</sup> / <sub>100</sub>

ე. ი. 12 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის სახაზინო გლეხებს მოუმატია 176,238 სული, ანუ 11,79<sup>0</sup>/<sub>100</sub>. საინტერესოა აგრეთვე ვიცოდეთ, თუ რა მონაწილეობას ღებულობდა ამ მატებაში სამი უმთავრესი ტომი: თათრები, სომხები და ქართველები.


ტომები	1873 წ.		1884—85 წ.წ.		მატებ. და კლებ. <sup>0</sup> / <sub>100</sub>
	კომლი	სული	კომლი	სული	
თათრები	75,653	476,898	80,416	547,444	14,73 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
სომხები	47,304	390,187	56,446	478,809	22,71 <sup>0</sup> / <sub>100</sub>
ქართველ.	46,805	302,580	52,924	323,344	6,85 <sup>0</sup> / <sub>100</sub>

მაშასადამე ყველაზე უფრო დიდი პროცენტი ამ ხნის განმავლობაში მოუმატია სომხებს (23,71<sup>0</sup>/<sub>100</sub>), შემდეგ თათრებს (14,71<sup>0</sup>/<sub>100</sub>), ყველაზე ნაკლები—ქართველებს (6,85<sup>0</sup>/<sub>100</sub>). თუ ახლა თითოეული იმათგანის შედარებით ზრდას მივაქცევთ ყურადღებას, შევინანავთ, რომ ერთი მხრით თათრებსა და სომხებს და მეორე მხრით ქართველებს შორის კიდევ უფრო მეტი განსხვავებაა: სახაზინო გლეხები საერთო რიცხვთან შედარებით შეადგენენ:

<sup>10)</sup> Сводъ Стат. данныхъ землевладѣнія въ Тиф. и Кут. губерніяхъ. Тифлисъ, 1893 г.  
<sup>11)</sup> თფილისის გუბერნიაში 1899 წლის პირველ იანვრამდის თავი დაუხსნია სულ 3466 კომლის მთავრობის შემწეობით (იხ. „ივერია“, № 250, 1899 წ.).  
<sup>12)</sup> Сбор. Стат. Свѣд. о Кав., т. I.

<sup>13)</sup> Сводъ Матер. по изуч. экон. быта Госуд. Крестьянъ, т. II.





	1873 წ.	1884—85წ.
თათრები —	31,90 <sup>0</sup> / <sub>0</sub>	32,75 <sup>0</sup> / <sub>0</sub>
სომხები —	26,09 <sup>0</sup> / <sub>0</sub>	28,63 <sup>0</sup> / <sub>0</sub>
ქართველები —	20,23 <sup>0</sup> / <sub>0</sub>	19,30 <sup>0</sup> / <sub>0</sub>

მაშასადამე, საერთო რიცხვთან შედარებით ქართველ სახაზინო გლეხებს დაუკლია 0,93<sup>0</sup>/<sub>0</sub> და თუმცა ეს მცირე პროცენტი, მაგრამ ჩვენი აზრით ეს გარემოება მეტათ საყურადღებოა. რით უნდა ავხსნათ ეს? რას უნდა მივაწეროთ ქართველ სახაზინო გლეხების არა თუ მეტათ სუსტი ზრდა, არამედ შედარებით სხვა ტომთა იმავე კატეგორიის გლეხ-კაცობასთან შემცირებას, მაშინ როცა ჩვენ დავადგინეთ ის ფაქტი, რომ ამიერ-კავკასიაში დასახლებულ ხალხთა შორის მეცხამეტე საუკუნის განმავლობაში ყველაზე უფრო ქართველებმა იმატეს? ჩვენი აზრით ამ გარემოებას შემთხვევითი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს; პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ამბავში გამოიხატება ის საზოგადოებრივი მოძრაობა, ის სოციალური გარდაქმნა, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენში ხდება. ჩვენ ვამბობთ იმას, რომ საწარმოვეო ძალთა გასაოცარი ზრდა, ე. ი. წარმოების კაპიტალისტური სისტემის დამკვიდრება, სპობს და აქარწყლებს ძველ წოდებრივობას, აცლეს ზედა კანს ძველ ფეოდალურ მებატონეს და მის მონას, თანდათან სპობს მათ შორის ყოველგვარ განსხვავებას, ურევს და თქვეფს იმათ ერთმანეთში და ატარებს ერთ საერთო დარჯაქში, საიდანაც ისინი გამოდიან სხვა-და-სხვა სოციალური მდგომარეობით, მაგრამ არა ძველი ფორმით, არამედ ახლით: ერთი გამოდის როგორც წარმოების ნივთიერი მასალის პატრონი, ხოლო მეორე როგორც თავისი საკუთარი სამუშაო ძალის მქონებელი. ასეთია თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობათა დედა-ძარღვი. აქ სამუდამოთ ისპობიან ძველი წოდებები და იმათ მაგიერ ვითარდებიან თანამედროვე საზოგადოებრივი კლასები, რომელთაც არა თუ აღარაფერი აღარ აკავშირებთ ძველ წოდებრიობასთან, არამედ სათაკილოთაც მიაჩნიათ, რომ ოდესმე იმათ ეკუთვნოდნენ. ამ პროცესში სოფლის ხალხს თანდათან აკლდება თავისი წევრები, რომლებიც მოქალაქეთა სხვა-და-სხვა კატეგორიაში ეწერებიან. ცხადია, რომ წინანდელი წოდებრიობის მოსპობა უფრო აჩქარებით ხდება იქ, სადაც ეს პროცესი უფრო აჩქარებული ნაბიჯით მიდის წინ. ამიტომ თუ საქართველოში სახაზინო გლეხთა რაოდენობამ შედარებით იკლო, ეს ჩვენი აზრით, იმას მიეწერება, რომ თანამედროვე განვითარებული წარმოების სისტემა აქ უფრო დამკვიდრებულა და იმავე დროს ძველ წოდებრივ დაყოფასაც აქ უფრო დაუკარგავს საფუძველი, ვინემ ამიერ-კავკასიის დანარჩენ პროვინციებში. ჩვენ ღრმით დარწმუნებული ვართ, რომ დანარჩენ გლეხ-კაცობაზედაც ისეთი გარკვეული ცნობები გვქონდეს, როგორც სახაზინო გლეხებზე, იქაც ასეთსავე ფაქტს ამოვაჩენდით.

ასე და ამნაირათ, თუ საქართველოში ამ ნახევარი საუკუნის წინ წოდებრიობას უკიდურეს

ხარისხამდე ძირი ჰქონდა ვადგმული, დღეს ამ ძველ წოდებრიობის პრინციპი ცხოვრებაში ყველაზე უფრო ჩქარა ისპობა. ეს გარემოება ჩვენ კიდევ იმას გვეუბნება, რომ ძველ წოდებრივ დაყოფაზე დამყარებულ სტატისტიკას დღეს მნიშვნელობა აღარ აქვს, და ევროპაში ხომ წოდებრივი სტატისტიკა სრულგებით აღარ არსებობს.

ფ. მახარაძე

**წერილები რედაქციის მიმართ**

**I.**

ქ-ნო რედაქტორა!

უმარხილესათ გთხოვთ დაუთმოთ ჯაჯი თქვენი ნატევეტმულ გაზეთში შემდეგ მტერე წერილს:


1893 წელს ქუთაისის სათავად-ახნაურა ბანკის საზოგადო კრებამ თხოვნისამებრ გადამიწვეიტა სუბსიდიათ ეფველ წლებით 500 მანეთი სამი წლის განმავლობაში ე. ი. სულ 1500 მანეთი, ევროპაში სამეურნეო სწავლის დასამთავრებლათ, მაგრამ ამ იუულიდან დღემდე ერთი გროშიც არ მიმიღია, რასაც აშკარათ დაინახავთ იმავე ბანკის ზედამხედველ კომიტეტის მიერ მოცემულ მოწმობისკან, რომელსაც ვარდგენ ამავე წერილთან.<sup>1)</sup> დაიხ, არ მომცა ის გადაწვევტილი იუული ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა და გამკეობამ, თუმცა არა ერთხელ მივმართე თხოვნით ვერ ქუთაისში და მერე საფრანკეთიდან, სადაც უსახლერა გამწარებით ვებრძვოდი ნივთიერ გაჭირვებას და ვითხოვდი მხოლოდ 300 მანეთს იმ გადაწვევტილი 1500 მანეთიდან. (ამასვე ცნობთ მოწმობიდან); ვინ იუა ამის მიზეზი და რათ არ მომეცა ეს შემთქმულად სუბსიდიად, ეს კარკათ უწვის ბანკის ზედ. კომიტეტმა და გამკეობამ.

შეიძლება ბრძანონ: არ იუა იუული და მიტომ ვერ მივეცით. მაშ გვიხასუხონ: თუ იუული არ იუა რათ მისცეს იმავე 1893 წელს ოთხ შეიძლება დეპუტატს 2000 მანეთი, და ბ. თოფურის 1000 მანეთი, მე და სენაკის სამეურნეო განუოფილება კი დაგვტოვეს უმწეთ?! რათ დაურიგეს იმ წელს სხვებს ჩვენ ორს კარდა 23, 000 მანეთი?! თუ არ კმაროდა ეველსთვის ის იუული, რათ არ გაანწილეს ისე, რომ არვისთვის გული არ დაეწვევით, რომ ეველს ცოტა დაკლებით რკებოდათ?! რათ მოხდა ეს სასწაული?!

არ შევწუხებდი არც რედაქციას, არც მკითხველს და ანას ვიტყოდი ამ ბანკის გმირთა საგმირა საქმეზე, რომ სამშობლოში ჩამოსვლის დროს არ მიმენოდა ხმები თითქო მიმედოს ზემთქმული სუბსიდიად. საიდან გავრცელდა ეს უცნაური ხმები, ამის თქმა არ შემიძლია, ხოლო საჭიროა ვაუწყო საზოგადოებას რომ მე იმ გადაწვევტილი სუბსიდიიდან, ე. ი. 1500 მანეთიდან ერთი გროშიც არ მიმიღია ბანკიდან, რადგან არ მომცეს.

<sup>1)</sup> ამ მოწმობიდან ჩანს, რომ მ. ქვარიანს არაფერი არ მიუღია ბანკიდან, თუმცა მას ღანიშნული ჰქონებია ზემოთ ნაჩვენები ფული.





დეე მე ვიყო მსხვერპლი, ხოლო ადამიანის მოვალეობას მძღვეს უფლებას დავუკითხე ბანკის მეთაურთ: რათ იხებეს ნეტა და რათ ჩანთქეს ლეთის ზვირთებში იმავე 1893 წლის საზოგადო კრების გადაწყვეტილება შესახებ ოთხი სტიპენდიის დაარსებისა ევროპა-რუსეთში მოსწავლე ხელფირთ ქართველ მეურნეთათვის? სად გაქრა ეს დადგენილება?! დღეს რამდენიმე უმწვეო ქართველი მოსწავლე შეგულება იპერეთიდან ევროპაში? მაგრამ ახა ვინ ზრუნავს მათზე?! ვის ახსრავს ის გადაწყვეტილი სტიპენდია? ვინ აწვდის მათ თუნდ ას მანეთს მაინც?!.

და ბოლოს დიდ მადლობას ვწირავ 1893 წლის ბანკის საზოგადო კრებას, რომელმაც ერთხმით გადაიწყვიტა 1500 მანეთი სუბსიდიით, თუმც ამ ფულიდან გროშიც არ ჩასულა ჩემ ჯიბეში; ხოლო ვწუხვარ რომ იგივე კრება ისეთ პირთ ირჩევს ბანკში, რომ მის განხილვას ასე ტოვებენ უეურადღებოთ და არ მოჭყავთ სისრულეში<sup>2)</sup>.

II.

სიმონ ქვარიანი

ქ-ნო რედაქტორო!

„კვალის“ მე-ნ ნომერში მოთავსებულ „საჭირო განმარტების“ ნიღბს ჩამოფარებული ავტორი, ვითომდა გულ-შემატკიავარი, თამამათ გაიძახის, რომ იმ სამკლოვარო დებულის შედგენაში, რომელიც გამოგზავნილ იქმნა ოზურგეთიდან ნეტარ სახსოვარ გიორგი წერეთლის გარდაცვალების გამო და რომელიც მოთავსებულია „კვალის“ მე-4 ნომერში, მეც მიმედოს მონაწილეობა. რომ მე სხენებული დებულის გამოგზავნაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია, ამაზე თავის მართლებას მეტათ მიმჩნია. ვიტყვი მხოლოთ, რომ იმ დღეებში, როცა ის დებულება ოზურგეთიდან გამოგზავნეს მე ოზურგეთში არ ვყოფილვარ: მე და კბილის ექიმი ვაშაყაძე 14 იანვარს ბათომში წავედით და ოზურგეთში დავბრუნდით 17. პირველათ ეს დებულება მე წავიკითხე „კვალში“ 24 იანვარს თფილისში, ძალიან მეწინა და ჩემი უკმაყოფილება კიდევაც განვუცხადე ზოგიერთ ჩემ ნაცნობებს. დასასრულ თქვენ ვითომდა გულ-შემატკიავარო, თუ გულ-დაწყვეტილო, რომელ საქველ-მოქმედო საქმის დაწყება-წაყვანაში ისახელეთ თავი? თუ თქვენ სამართლიანათ შეგვიძლიათ თქვენ თავს ოზურგეთის ახადგაზდობა და ინტელიგენტთა ბოძი უწოდოთ, რატომ დროზე არ გახილეთ თვალი? რა დიდი საქმე იყო ერთი გვირგვინის და ერთი წარმომადგენლის გაგზავნა ოზურგეთიდან, ეს დიდ შრომას და ხარჯს ხომ არ მოითხოვდა? რადა ახლა დაგჭირდათ ღაზარაკი, თუ ამით გინდათ ვისმეს თვალი აუხვიოთ და თქვენი თავი მართლათ გამოიყვანოთ? მაგრამ ექ! რაზე ვღაზარაკობ...

სოლომონ ჭეიშვილი

<sup>2)</sup> ჩვენი აზრით, 1893 წლის კრების გადაწყვეტილება შესახებ ოთხი სტიპენდიის ყოლისა ევროპაში, საჭიროა მომავალ კრებაზე განხილვებულ და ხელ მფორეთ დამტკიცებულ იქნას და ამასთანავე დაევალოს ბანკის გამგეობას სისრულეში მოიყვანოს.

„კვალის“ ჟურნალი

ზოგიერთ ჩვენ მკითხველს. გვეკითხებთ, დაწვრილვ ბით გაგვაცანით „კვალის“ მე-10 ნომერში დაბეჭდილი განცხადების პირობები პარიყის გამოფენაზე წაყვანის შესახებო. ამის შესახებ ჩვენ უკვე მივიწვრეთ ბერლინში და ცნობების მიღებისთანავე გაცნობებთ.

ბ. ილ. მან—ვიძეს. ეგ საქმე ყოძო საქმეა და უკეთესი იქნება შინაურულათ მოვლაპარაკოთ ბ. ჩუბინიძეს.

ბ. ბ. ძველ შეგობარს, ი. ი.—ძეს და ბათომელს: ბ. ვ. წ—ლის შესახებ საკმარისია ის, რაც ითქვა. ამისათვის თქვენ წერილებს ვერ ვბეჭდავთ.

შეცდომის განმარტება

„კვალის“ უკანასკნელ ნომერში, მე-167 გვ. დაბეჭდილია: „(1877 წ. № 8...)“, უნდა იყოს: „(1879 წ. № 8...)“

თიფლისის ქალაქის თვითმმართველობა

თველობა ამით აცხადებს, რომ 22 მარტს, დღის 12 საათზე მისი თანადანწრებით იჯარით გაიცემა ავტოსადგომის წვლის მიღების გამგისათვის ავტოსადგომის სახლის აგების და აგრეთვე საცხოვრებელ სახლის შეკეთების საქმე, სულ 5653 მანათისა და 16 კაპეიკისა.

ვისაც სურს დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეუძლია განიხილოს გამგეობის ამჟინებულთა განყოფილებაში უფველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, დღის 9 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე.

გამოვა სამკლოვიარო წიგნაკი სამშაბათს

„გიორგი წერეთელი“

(სურათით)

წიგნაკი შეიცავს 184 გვ. და ღირს 25 კაპ.

„ჯიჯილი“ № მე-3 გამოვიდა და დაურთდა ხელის-მომწერლებს.

„კვალის“ და „ჯიჯილის“ რედაქციაში

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (ცასაგზ. 50 კ.)	
აღბომი „ბუნება სურათები“ ედ 1 მ. 20 კ. (ცასაგზ. 40 კ.)	
ზატარა ღორდი . . . . .	30 კ.
ჩვენი ძველი გმირები . . . . .	30 კ.
თეთრი და ზანგი . . . . .	15 კ.
სოლომონ მეფე . . . . .	10 კ.
ორი მოთხრობა ეკ. ნინოშვილისა . . . . .	10 კ.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.